რუსულ-ვაინახური ურთიერთობები XVIII საუკუნის 80-იან წლებამდე

ზაურ გუმაშვილი, შალვა ჭკადუა
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თელავი, საქართველო
E-mail: zaur.gumashvili@tesau.edu.ge
E-mail: rector@tesau.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.08

შესავალი

მთელი XVIII სკ-ის განმავლობაში ხდება ნახური (ჩეჩნები, ინგუშები, ქისტები) თემების გაძლიერება, რომლებიც თანდათანობით იწყებენ გარკვეულწილად შეზღუდონ და ჩარჩოში მოაქციონ ფეოდალურ-თავადური მმართველობის ფორმები. მათი ნაწილი ამ თემების მიერ თავის დროზე მოწვეული იყო მმართველობისათვის გარკვეული პირობებით. აღსანიშნავია, რომ ზოგადად ბრძოლა ფეოდალებსა და ჩეჩნურ-ინგუშურ თემებს შორის იყო საკმაოდ ხანგრძლივი და დრამატული. ამ საკითხთან არის დაკავშირებული ვაინახთა საკმაოდ ბევრი თქმულება, რომელთაც თავისი ასახვა ჰპოვეს ისტორიულ დოკუმენტებშიც. ჩეჩნებმა და ინგუშებმა იცოდნენ თავადთა პოზიციების განმტკიცებისა და გაძლიერების პერიოდებიც და მათი ძლიერების შესუსტებისა და დაუძლურების შემთხვევებიც. ამასთანავე, თავადები ეძებდნენ და პოულობდნენ კიდევაც მხარდაჭერას მეზობელ ფეოდალებში, ან კიდევ, ძლევამოსილ სახელმწიფოებში, რომლე-ბიც გამუდმებით ერეოდნენ მთიელთა პოლიტიკაში. რუსული ექსპედიციების არც თუ მცირე რაოდენობა XVIII საუკუნის განმავლობაში ვაინახების წინააღმდეგ იყო წარმოებული მათივე მმართველთა საჩივრების შედეგად და ლაშქრობის მიზანს წარმოადგენდა მმართველთა ძალაუფლების განმტკიცება ვაინახური თემების მიმართ. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსულმა სამხედრო დახმარებამ თავის მიზანს ვერ მიაღწია. საბოლოო ჯამში ვაინახი თავადების უდიდესი ნაწილი ფიზიკურად ლიკვიდირებული იქნა. ხოლო მათ შორის დარჩენილები განდევნეს ჩეჩნეთიდან და ინგუშეთიდან 1760 წელს.

მეთოდი. კვლევა ეფუძნება ისტორიული ფაქტების რეალობის შემოწმებას ურთიერთშეჯერების გზით.

შედეგები. 1760 წელს დავლეთ გირეი ჩერკასკის წინააღმდეგ აჯანყდნენ გერმენჩუკისა და შალის მცხოვრებნი. დავლეთ გირეი გაიქცა, ხოლო მის ცოლს ხელი მოაჭ-რეს. სულ მალე იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ სხვებიც, რომელთა შორის ზოგიერ-თები, მაგალითად ხასბულათ ათაგინსკი (ათაღელი) მოკლული იქნა [Ткачев, 1914, გვ. 74].

დავლეთ გირეის რუსეთის ადმინისტრაციამ უფლება მისცა დასახლებულიყო თერგისწინა მხარის სოფელ სტარი იურთში (ახლანდელი ტოლსტოი იურთი). დანარჩენი მმართველები რუსების დიდი მცდელობის შედეგად დააბრუნეს უკან. თუმცა, 1783 წელს ისინი იძულებული გახდნენ ისევ, მხოლოდ ამჯერად სამუდამოდ გაქცეულიყვნენ

ვაინახებისაგან. ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები საკმარისია იმისათვის, რათა გავიაზროთ, თუ როგორი რეაქცია ჰქონდათ ვაინახებს მმართველთა თვითნებობასა და ზღვარს გადასულ ქმედებებზე.

აღნიშნული პერიოდისათვის ნოვოროსიისკის, აზოვის, ასტრახანის მმართველად დანიშნული თავადი გ. პოტიომკინი პირველი ნაბიჯით შეუდგა ჩრდილო კავკასიაში რუსული საზღვრების გამაგრების და კავკასიის ქედის მთელ სივრცეზე ვრცელი გამაგრებული ზოლის შექმნას, ციხე-სიმაგრეების, გამაგრებული პუნქტების და კორდონების ჩამოყალიბებას. შეიქმნა ე.წ. აზოვ-მოზდოკის გამაგრებული ზოლი, რომლის გასწვრივ საფუძველი ჩაეყარა კიდევ ათი ციხე-სიმაგრის მშენებლობას. აქ ჩამოასახლეს ვოლგის კაზაკების 500 ოჯახი და დონის კაზაკთა 700 ოჯახი.

მაგრამ კვლავდაკვლავ გრძელდებოდა და ძლიერდებოდა ჩრდილო კავკასიელთა ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ, რომელთა შორისაც აშკარად გამოირჩეოდნენ ვაინახები. დღემდე პასუხგაუცემელი რჩება კითხვა: თუ რაში მდგომარეობდა ასეთი ხანგრძლივი და ქედუდრეკელი წინააღმდეგობის მიზეზი ვაინახებისა რუსების მიმართ. მიგვაჩნია, რომ მეცნიერთა გარკვეული ნაწილის მცდელობა, რომ ეს ყველაფერი დაუკავშირონ რელიგიურ დაპირისპირებას, არაფრის მომცემი დასკვნაა და ჩანასახშივე მცდარია. ჩეჩნეთში ისლამი ვრცელდებოდა XVII საუკუნეშიც და XVIII საუკუნის ბოლოს ის ოფიციალური რელიგია გახდა იმ პატრიოტებისათვის, რომლებიც დაუპირისპირდნენ რუსეთის ვერაგულ განზრახვას და წინ აღუდგნენ ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე მისი წინსვლის პროცესს. ამასთანავე, ჩრდილო კავკასიის რეგიონში არც თუ მცირენი იყვნენ ეთნოსები, რომლებიც მსგავსი სახის დაპირისპირებას არ გამოხატავდნენ დამპყრობთა მიმართ.

შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ნაწილობრივ იძლევიან პასუხს იმ ისტორიკოსთა მოსაზრებები, რომლებიც ვაინახთა შეიარაღებულ ბრძოლას რუსების წინააღმდეგ ამ უკანასკნელის კოლონიალური რეჟიმის გაძლიერებაში ხედავენ. ცხადია, კოლონიალური რეჟიმის გაძლიერება იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც ჩამოაყალიბა შეუპოვრობა და ამ ბრძოლის ხანგრძლივობა ვაინახების მხრიდან ასეთი პოლიტიკის მიმართ. ამასთანავე, სიმართლეა ისიც, რომ კავკასიაში ხალხების უმრავლესობამ, რომლებიც რუსეთის იმპერიაში შედიოდნენ, რომელთა მიმართაც სწორედ ასეთივე პოლიტიკა ხორციელდებოდა, რატომღაც არ უპასუხეს რუსულ აღვირახსნილ ქმედებას შეიარაღებული აჯანყების სახით.

რით შეიძლება აიხსნას ეს? იქნება იმით, რომ ვაინახებს განსხვავებული ფსიქოლოგია აქვთ, ,,თავისუფლება, რომელიც შერეულია სისხლში?“. ასეთი განმარტება ძალზე დიდი პირფერობა იქნებოდა ვაინახებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ თუ მსოფლიოში არა, ყოველ შემთხვევაში კავკასიაში მაინც რეალურად არ არიან ისეთი დიდი ინდივიდუალისტები და ანარქისტები, როგორიც ვაინახები არიან. მით უმეტეს, თუ საკითხს შევხედავთ გენეტიკის თვალთახედვით, სულ ერთია, ის არ გვაძლევს პასუხს ყველა ამ საკითხზე.

ერთი რამ ცხადია, XVIII სკ-ის მეორე ნახევარში მოხდა ის, რამაც ძირეულად შეცვალა წინამორბედი სურათები რუსულ-ვაინახურ ურთიერთობებში. შეიცვალა რუსეთი, შეიცვალნენ ვაინახები და ისინი ვერ შეეგუვნენ ერთმანეთს.

მსჯელობა. ჩეჩნეთი და ინგუშეთი XVIII სკ-ის მეორე ნახევარში კვლავინდებურად შედგება ცალკეული თემებისაგან. მათ ვერ მოახერხეს სახელმწიფოებრიობის

ჩამოყალიბება. მაგრამ ეს თემები, ან თემობრივი გაერთიანებები არ არიან ერთმანეთისაგან იზოლირებული თემები, რომლებიც მსხვილი ფეოდალური გაერთიანებების შემადგენლობაში შედიან და, რომელთაც სათავეში უდგათ სხვა წარმოშობის პირი. საკმაოდ ხანგრძლივმა და საერთო ბრძოლამ ყაბარდოელი და ყუმიყი ფეოდალების წინააღმდეგ, ერთობლივმა წინააღმდეგობამ რუსეთის, ყირიმის ან ირანის შემოსევების დროს, - ყველაფერმა ამან შეცვალა თვით ატმოსფერო, რომელშიც უმეტესი თემები ცხოვრობდნენ. ჯერ-ჯერობით სიმპტომიც კი არ შეინიშნება საერთო ვაინახური ცენტრის ჩამოყალიბების თაობაზე, მაგრამ პრაქტიკული თვალსაზრისით თუ შევხედავთ მათ ცხოვრებას, უმეტესი მეზობელი თემები ცხოვრობდნენ და მოქმედებენ ერთობლივად. ამ შემთხვევაში ძალზე მნიშვნელოვანია განვიხილოთ საკითხი ,,მეხქ ქხიელის“ („ქვეყნის საბჭო“) შესახებ, რომელიც რიგი ისტორიკოსების თანახმად წარმოადგენდა ვაინახთა უმაღლეს ორგანიზაციას. მის წევრებს წარმოადგენდნენ გვარისა და თემის უხუცესები, სასულიერო პირები, მდიდარი და გავლენიანი ადამიანები. ეს ორგანო წარმოადგენდა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს და ვაინახთა რამდენადმე მაღალი ფენისა და სასულიერო წოდების უფლებებს უპირატესობას ანიჭებდა. ამასთანავე, ,,ქვეყნის საბჭო“ ფლობდა შემდეგ უფლებებს: პროდუქტებზე ფასების დაწესება, ვაჭრობაში ერთიანი წონის ერთეულის შემოღება, დასჯის ღონისძიებისათვის სადამსჯელო ზომების შემუშავება დანაშაულის შესაბამისად, ასევე, ყველა საგარეო და საშინაო საკითხის გადაწყვეტა. ,,მეხქ ქხიელი“, ანუ ქვეყნის საბჭო წარმოადგენდა ჩეჩნების და ინგუშების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს [Ахмадов, 1991, გვ. 53-54]. მისი გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ძალზე მკაცრად ისჯებოდა, მთელი დასახლების ან აულის გადაწვითაც კი.

სრულიად დასაშვებია, რომ ჩეჩნეთისა და ინგუშეთის თეიფების (გვარების გაერთიანება) წარმომადგენლები დროდადრო იკრიბებოდნენ მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად, რომელსაც საერთო ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა ანდა რამდენიმე სათემო საკითხს იხილავდა ერთდროულად. მაგრამ, ქვეყნის საბჭოს ამ სახით არსებობა ნიშნავს ვაინახებში ზოგადსახელმწიფოებრივი ხელისუფლების ორგანოს არსებობას, რომელიც ფლობდა ერთდროულად როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებასაც კი. ასეთ შემთხვევაში, მის განკარგულებაში უნდა ყოფილიყო სახელმწიფო აპარატი, რომელიც სწორედაც რომ არ ჰქონდათ. ჩეჩნები ჩვეულებისამებრ თავადს უხდიდნენ იმისათვის, რომ ის მართავდა სასამართლოს, გამოდიოდა როგორც ჯარისა და ნახური მოხალისეთა რაზმის ხელმძღვანელი. თითო ოჯახიდან იღებდა წვრილფეხა რქოსან პირუტყვს და გარკვეული რაოდენობის მარცვლეულს. ნახური თქმულების თანახმად მოთხრობილია, თუ როგორ გააძევეს ერთ-ერთი თავადი, რომელმაც იმისათვის, რომ შემოსავალი გაეზარდა, შეცვალა დადგენილი ოდენობა. ეს სიცრუე შეამჩნია ერთ-ერთმა გლეხმა, რომელმაც ოდენობის განმსაზღვრელი თავადის თვალწინ ნამსხვრევებად აქცია, რის შემდეგაც თავადს შეეშინდა ანგარიშსწორების და თავის რაზმთან ერთად ნაჩქარევად გაეცალა ჩეჩნებს.

მეორე შემთხვევაში ფეოდალი იღებდა გასამრჯელოს ჩეჩნების მიერ მიწისა და სხვა საჭიროებებით სარგებლობისათვის, რომლებიც თავადის საკუთრებაში ითვლებოდა.

ყველაფერი ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ XVIII ს-ში ვაინახებში შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა მოსახლეობის ქონებრივი და სოციალური დიფერენციაცია. ვაინახებში არსებობდა საკმაოდ განვითარებული ფეოდალური ურთიერთობები. გამოირჩეოდა წარჩინებული ფენა და დამოკიდებული გლეხობა, მაგრამ არ მოხდა გლეხთა

დაკაბალება, მიუხედავად იმისა, რომ ამის მცდელობა ფეოდალების მხრიდან აქტიური იყო. რუსული წყაროები არ ტოვებენ ეჭვს XVI-XVIII სს-ში ვაინახებში თავადების არსებობის შესახებ. მაგრამ ფეოდალური კლასის ჩამოყალიბება შედარებით მოგვიანებით მოხდა. ფეოდალური ურთიერთობები ვითარდებოდა, აგრეთვე, მაღალმთიან თემებში. ამის დადასტურებას წარმოადგენს ვაინახური კოშკების კომპლექსური მშენებლობები. ისტორიული წყაროების თანახმად ტრადიციულად ყველას არ შეეძლო კოშკის მშენებლობა თავდაცვისათვის, მეორე კატეგორიას შეეძლო დაუმთავრებელი კოშკის მშენებლობა და მესამე კატეგორიას შეეძლო განუსაზღვრელად აეშენებინა. ის არ იყო შეზღუდული რაიმე წინაღობით. მათ შეეძლოთ აეშენებინათ არა მარტო თავდაცვითი ფუნქციის მატარებელი კოშკი, არამედ ისეთიც, რომელიც ოჯახის ღირსებაზე მეტყველებდა. ეს ყველაფერი, ცხადია, სრულიად ჩამოყალიბებული მოსახლეობის ქონებრივ და უფლებრივ დიფერენციაზე მეტყველებს [Робакидзе, 1968, გვ. 116-117].

კოშკების კომპლექსთან მშენებლობა დაკავშირებულია ფეოდალიზირების პროცესში მყოფი მთის თემების ზედა ფენის მისწრაფებასთან კონტროლქვეშ ჰყოლოდა ამა თუ იმ ხეობის ტერიტორიები, თემები და გზები, რომელთაც მნიშვნელოვანი სამეურნეო და სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდათ. ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მთის მოსახლეობაში ვხვდებით არა უმეტეს ერთი საბრძოლო კოშკისა. მხოლოდ ინგუშეთში არსებობს რამდენიმე დასახლება, სადაც არის ერთზე მეტი საბრძოლო კოშკი. ყველა ფეოდალს შეეძლო ყოფილიყო პრეტენდენტი თავადის ტიტულზე. მათი უდიდესი ნაწილი ფლობდა ტიტულს ,,სოფლის მამა, მმართველი სოფლისა“. ნახების ფეოდალთა ეს ნაწილი რუსულ წყაროებში იწოდება ,,მურზას“ ტიტულით [Умаров, 1980, გვ. 11].

მთავარ მიზეზს, რის გამოც ვაინახების თავადებმა ვერ შეძლეს გაემაგრებინათ თავიანთი ხელისუფლება სოფლის თემებისადმი, ჩვენი აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ გლეხის კაბალური შრომა იმ პირობებში რომელშიც ცხოვრობდნენ ნახთა სასოფლო თემები, იყო ეკონომიკურად არამომგებიანი. მათ ჰყავდათ დამოკიდებული, პიროვნულად არათავისუფალი ადამიანები - ლაი (მონები) და იასირები (შეიძლებოდა მათი გამოსყიდვა). ეს ორივე კატეგორია ივსებოდა ტყვეებით. ამასთანავე, ლაი და იასირები გამოიყენებოდა არა ყველა სამუშაოზე. უმეტეს შემთხვევაში მათთვის ხდებოდა მიწის გარკვეული მონაკვეთის გამოყოფა, რომელზედაც მათ მოჰყავდათ საკუთარი მეურნეობა. მაგრამ მთიანი თემების პირობებში დამატებითი პროდუქციის შექმნა ძალზე რთული საქმე იყო. იმას, რასაც აწარმოებდა ცალკეული გლეხი, ძლივსღა ჰყოფნიდა მას თავისი ოჯახის გამოსაკვებად.

რაც შეეხება ბარს, თვით მათი არსებობა ფეოდალური ხელისუფლების გარემოცვაში დამოკიდებული იყო თითოეული მისი წევრის აქტივობასა და ერთგუ-ლებაზე. სწორედ ამიტომაც, ვაინახური ბარის აულები სიამოვნებით იღებდნენ ახალ გადმოსახლებულებს, რადგანაც მცხოვრებთა რიცხოვნობის ზრდასთან ერთად იზრდე-ბოდა დასახლების გავლენა და შესაბამისად მისი უსაფრთხოებაც. ყველაფერი ეს აფერხებდა მოსახლეობის დაკაბალებას, და რაც მთავარია, ვაინახებში ჩამოყალიბდა ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომ თვით ნახური თემის არსებობა ამ სახით დამოკიდებული იყო მის სიგანეში გაფართოვებაზე. ე.ი. ჭარბი მოსახლეობის მთებიდან ჩამოსახლება ხდებოდა მთისწინა მხარეში, საიდანაც ნახური აულები მიდიოდნენ უფრო შორს, ახალ მიწებზე. ზღუდავდა რა ნახების განსახლების არეალს, რუსეთის კაზაკთა ზოლი ასეთი საზოგადოებრივი წყობის არსებობას საფრთხის ქვეშ აყენებდა. თავისი მოზღვავებული

ნაკადით ჩეჩნებმა შეავიწროვეს ბარის ადგილებში ჩამოსახლებული ყაბარდოელები და ყუმიყები. მრავალი ათეული წელი მოანდომეს, რომ დაემსხვრიათ მათ წინაშე არსებული რუსული საზღვარი.

ამას გარდა, ეს განვითარებული მეურნეობა, რომელსაც ახორციელებდნენ ვაინახი თემები მოითხოვდა ფართო სასაქონლო-სავაჭრო ურთიერთობისათვის დიდ სავაჭრო საზღვრებს. ყველა ისტორიული წყარო, ყოველ შემთხვევაში XVIII სკ-ის წყაროები გვამცნობენ, რომ ვაინახები აწარმოებდნენ იმაზე ბევრად მეტ პურს (მარცვლეულს), რამდენიც მათ მოსახლეობას ჭირდებოდა გამოკვებისათვის. ზედმეტი პური გაჰქონდათ არა მარტო მეზობელ მხარეში, არამედ ირანის სახელმწიფოშიც კი [Вроцкий, 1878, გვ. 270].

მაგრამ, მარტო პური არ იყო ვაინახების ერთადერთი სიმდიდრე. რუსი აკადემიკოსი ფალკი, რომელმაც 1773 წელს იმოგზაურა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, აღნიშნავდა, რომ ბრაგუნთა და სტარი იურთის მცხოვრებნი ფლობენ დიდი რაოდენობით პირუტყვს და ცხენებს [Путешествие Академика Фалька, 1824, გვ. 61]. მხოლოდ აღებული თერგისწინა ჩეჩნური აულები ფლობდნენ 10000-ზე მეტ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, რომელიც, თუ გადავიანგარიშებთ თითო კომლზე, შეადგენს საშუალოდ 5 სულს [Ахмадов, 1991, გვ. 56]. არანაკლები განვითარება ჰპოვა მეცხვარეობამ. XIX სკ-ის მკვლევარი ი.ი. ნორდენსტამმი აღნიშნავდა, თუ როგორი მაღალი პროდუქტიულობით გამოირჩეოდნენ ადგილობრივი ჯიშის ცხვრები [Материалы по истории Дагестана и Чечни, 1940]. ვაინახებში მნიშვნელოვანი რაოდენობით ზედმეტი პროდუქციის გაჩენამ ცხადია, გამოიწვია სავაჭრო ურთიერთობების განვითარება. თუმცა, ამ პროცესებს ართულებდა რუსეთის ხელისუფლების მიერ შემოღებული შეზღუდვები. რუსული ისტორიული წყარო-ები ხშირად გვამცნობენ ჩეჩენთა დიდ აღალზე, რომლებიც საქონლით იყო დატვირთული. ამავე დოკუმენტების თანახმად, მათ დიდხანს უხდებოდათ დგომა მდინარე თერგის სანაპიროზე, რუსეთის საზღვართან. იმის მაგალითად, თუ რამდენად დიდი რაოდენობის საქონლის გადაზიდვა ხდებოდა ვაინახებიდან, საკმარის წარმოდგენას გვიქმნის დოკუმენტი, რომელიც გვამცნობს, რომ 1751 წელს რუსეთის ხელისუფლებამ არ დართო ნება სავაჭროდ გადაელახა საზღვარი ვინმე ჩეჩენ პიროვნებას ცუკან კიჩინს, რომელსაც დატვირთული ჰქონდა 20 ურემი [Скитский, 1932, გვ. 98].

დასკვნა. ამრიგად, XVIII სკ-ის II ნახევარში რუსულ-ვაინახური ურთიერთობები იწყებს გამწვავებას. რუსული ხელისუფლების შემდგომი პერიოდის პოლიტიკა იმისათვის, რომ ხელი შეეწყო ვაინახური თემების ზედა ფენისათვის, იწვევდა დანარჩენი თემის წევრების მკვეთრად საწინააღმდეგოდ განწყობას. ნახური მოსახლეობის ძირითადი ნაწილი იყო პიროვნული თავისუფლებისა და შეძლების მქონე გლეხები, რომლებიც საკმაოდ მტკიცედ გამოდიოდნენ ფეოდალური ექსპლუატაციის განმტკიცებისაკენ მიმართული მცდელობების წინააღმდეგ. ამას გარდა, თავადები აღმოჩნდნენ მათი პოლიტიკური სისტემისთვის ზედმეტნი. ძალამოკრებილი და საკმაოდ ორგანიზებული ვაინახური თემები მათ გარეშეც კარგად გრძნობდნენ თავს. ხელმძღვანელის ფუნქციას თავის თავზე იღებდნენ არჩეული მამასახლისები. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკა მეურნეობის პარალიზების საშიშროებას ქმნიდა. რუსების მიერ კაზაკური დასახლებების ჩამოყალიბებამ ზამთრისათვის პირუტყვის გადარეკვას პრობლემები შეუქმნა და საძოვრების სიმცირე გამოიწვია. მრავალრიცხოვანი დაბრკოლებები აფერხებდა ვაინახების სავაჭრო საქმეს, რომ არაფერი ვთქვათ სისტემურ პრობლემებზე, რომლებსაც ქმნიდნენ რუსი ჩინოვნიკები. რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკა მიმართული იყო მხარის საბოლოო

ძალისმიერი ან იძულებითი მიერთებისაკენ, კოლონიზაციისაკენ, რაც ყოვლად მიუღებელი იყო ვაინახების უმრავლესობისათვის და ნიშნავდა მათთვის დამახასიათებელი ტრადიციული ცხოვრების შეცვლას. ყველაფერმა განაპირობა ის, რომ XVIII სკ-ის 80-იანი წლებისათვის დაიძაბა სიტუაცია არა მარტო რუსებსა და ვაინახებს შორის, არამედ რუსეთ-სა და სრულიად ჩრდილო კავკასიას შორის.

საკვანძო სიტყვები: ჩრდილო კავკასია, რუსეთ-თურქეთი, ვაინახური თემი, მმართველები, ვაინახები.

ლიტერატურა:

1. Ахмадов Ш.Б. (1991). Имам Мансур. Грозный.
2. Вроцкий Н. А. (1878). Чечня как хлебении оазиса // Зборник США - татеи о терской области. Вип. I. Владикавказ.
3. Материалы по истории Дагестана и Чечни.(1940). т. е. 3. Ч. Я Махачкала. 304 г.
4. Путешествие Академика Фалька // Полное собрание ученых путешествий по России. (1824). Т.Б. СПБ.
5. Робакидзе А.И. (1968). Жилища н поселения горных ингушей // Кавказский этнографический сборник. т.2. Тбилиси.
6. Скитский Б. В. (1932). Социальный характер движения имама Мансура // Известия 2-20 Северо-Кавказского пединститута им. Т. IX. Орджоникидзе.
7. Ткачев Г. (1914). Несколько слов о прошлой истории чеченцев // Записки Терского общества любителей казачей старины. Владикавказ. N7
8. Ткачев Г. (1914). Несколько слов о прошлой истории чеченцев // Записки Терского общества любителей казачей старины. Владикавказ. 1914, N7.
9. Умаров С. Ц. (1980). О некоторых особенностях класса образования и антифеодальной борьбы в средневековой Чечено-Ингушетии // Вопросы истории классов образования и социальных движений в дореволюционной Чечено-Ингушетии (XVI-нач XX в) Грозный.

Zaur Gumashvili, Shalva Tchkadua
Iakob Gogebashvili Telavi State University
Telavi, Georgia
zaur.gumashvili@tesau.edu.ge; rector@tesau.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.08

Russian–Vainakh Relations up to the 1780s

Abstract

Before the outbreak of the first Russo-Turkish war, Russian activity in the North Caucasus was limited to defending its southern borders. However, this did not at all mean that Russia had completely withdrawn from the life of the North Caucasian peoples. Soon, the Russian administration began attempting to use every opportunity at its disposal to exert influence over these peoples. For their part, local rulers sought, when necessary, to obtain the support of Russian military forces and to use their influence in resolving disputed issues with their neighbors. A certain portion of the feudal lords heading the Vainakh communities were considered subordinate to Russia, which allowed the Russian leadership to claim that the lands located on the right bank of the Terek River, as well as deeper into Chechnya-Ingushetia, belonged to Russia. Those regarded as rulers subordinate to Russia included the princes Aydemirovs, Chapalovs, Kazbulatovs, and Terloevs.

Keywords: North Caucasus, Russia-Turkey, Vainakh community, rulers, Vainakhs.